წერილის ნომერი: **18-01181842851**

თარიღი: **03.07.2018**

ადრესატი:
თეონა ახალაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური - III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 02 ივლისის #60-01181831128 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე გიორგი ჟორჟოლიანის მომართვის საფუძველზე, შპს ,,გამომცემლობა კოლორის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ქალაქი თბილისი, რკინიგზის ჩიხი N20- მიმდებარედ; სამხედრო საწყობი (ჩიხი), N20; კახეთის გზატკეცილი, N61; კახეთის გზატკეცილი სამხ. ჩიხი N20ბ N10; რკინიგზის ჩიხი N20-ის მიმდებარედ ს.კ N01.19.21.002.411) არსებული შენობების დემონტაჟის და ტერიტორიაზე საამქრო/სტამბის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან და ტერიტორიაზე არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად (გამწვანების პროექტი, საექსპერტო დასკვნა, ტოპო. გეგმა), ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების რაოდენობა (30 ერთეული წიწვოვანი და ფოთლოვანი) სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (352.7 კვ.მ), ამდენად სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი. აქვე მოგახსენებთ, რომ გენგეგმის შესაბამისად აღნიშნული პროექტის განხორციელება ითვალისწინებს 4 ძირი კვიპაროსის ადგილმონაცვლეობას, რომელთაგან #2-21.7სმ, #3-20.4სმ, #4-22.3სმ კვიპაროსი ექსპერტის რეკომენდაციის თანახმად ექვემდებარება გადარგვას, შესაბამისად გადარგვის ნებართვის მისაღებად განმცხადებელმა უნდა მომართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ.

რაც შეეხება 1 (ერთი) ძირი დიდტანოვანი #1-36.3სმ კვიპაროსის გადარგვის საკითხს, სამსახური იმსჯელებს მას შემდეგ, რაც განმცხადებელი წარმოადგენს ექსპერტის მიერ ინდივიდუალურად შედგენილ გადარგვის მეთოდოლოგიას, ან წერილობით დასტურს იმ პირისგან (ფიზიკური/იურიდიული), რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეც. ტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

პატივისცემით,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გიგა გიგაშვილი